კურსდამთავრებულთა ჩართულობის ხარისხი და გაუმჯობესების შესაძლებლობები განათლების ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში

განათლების ადმინისტრირება (კონცენტრაცია: უმაღლესი განათლება)

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

გიორგი იაგანაშვილი
გვანცა დარჩიაშვილი
ანი თინიკაშვილი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე, ასოცირებული

პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გვანცა დარჩიაშვილი

გიორგი იაგანაშვილი

ანი თინიკაშვილი

25.06.2024

მადლობა

სამაგისტრო კვლევის ჯგუფი გულწრფელ მადლობას ვუხდით ჩვენს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს თამარ ბრეგვაძეს. მისი უკუკავშირი და რეკომენდაციები მნიშვნელოვანი იყო კვლევის დაგეგმვის, განხორციელებისთვისა და კვლევის წარმატებით დასრულებისთვის.

გარდა ამისა, მადლობას ვუხდით განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს პროცესებში ჩართულობისა და აქტიურობისთვის. მათი მოტივაცია და ინიციატივები იყო გადამწყვეტი ინტერვენციების შემუშავებისა და განხორციელებისთვის.

მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და განათლების სკოლის ხელმძღვანელს პროექტის მხარდაჭერისა და წახალისებისთვის.

ასევე, მადლობას ვუხდით კურსდამთავრებულთა ქსელის საინიციატივო ჯგუფს მუდმივი მხარდაჭერისთვის, რასაც მთელი წლის განმავლობაში გვიცხადებდნენ.

და ბოლოს, მადლობას ვუხდით განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს მხარდაჭერისთვის, ჩართულობისა და ეფექტური უკუკავშირისთვის.

აბსტრაქტი

კურსდამთავრებულთა ჩართულობის კულტურის ჩამოყალიბებას სტრატეგიული მნიშვნელობა და ღირებულება აქვს, როგორც განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამებისთვის, ასევე მთლიანად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის და მისი განვითარებისთვის.

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კონტექსტში ასეთი კულტურის ჩამოყალიბების მცდელობას. კვლევა ფოკუსირებულია ორ ძირითად მიმართულებაზე: ა) კურსდამთავრებულთა ინტერესების გამოკვლევაზე და მათ მოტივაციაზე მოქმედი სხვადასხვა განზომილებებისა და ფაქტორების ანალიზზე; და, ასევე, ბ) არსებული რეალობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მდგრადი და ეფექტური ინტერვენციების განხორციელებაზე, რომლებიც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა ჩართულობას.

დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციების სერია მიზნად ისახავს კურსდამთავრებულთა ჩართულობის სისტემატური და სტრუქტურირებული მოდელის შემუშავებას. ამ კვლევის შედეგები არა მხოლოდ ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა ჩართულობის გაძლიერებას, არამედ გვთავაზობს მიმართულებებს სკოლის, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის დონეზე უფრო ფართო ხედვის ჩამოყალიბებისთვის.

საკვანძო სიტყვები: კურსდამთავრებულთა ჩართულობა, ჩართულობის სტრატეგიები, ჩართულობის ფორმები, ჩართულობაზე მოქმედი ფაქტორები.

Abstract

The formation of a culture of graduate engagement is of strategic importance and value for both the Educational Administration Master's Program and Ilia State University as a whole.

This study attempts to build such a culture within the context of the Master's Program in Educational Administration. The research focuses on two main areas: Investigating the interests of graduates and analyzing the various dimensions and factors affecting their motivation, while also taking into account existing realities and opportunities, enables the implementation of sustainable and effective interventions that promote graduate engagement.

This practice study evaluates the degree of graduate engagement and identifies strategies and plans for improvement opportunities. A series of planned and implemented interventions aim to develop a systematic and structured model of graduate engagement. The results of this research not only help strengthen alumni engagement but also offer insights for building a broader vision at the school, faculty, and university levels.

Key words: *alumni engagement, engagement strategies, forms of engagement.*